# იმერეთი

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

კვირა 6 ივლისი

**მისამართი:** ქუთაისი, რედაქცია გაზ. „ი მ ე რ ე თ ი“ თბილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 98 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 98


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 ლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | . . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | . . . . | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისე ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ. **ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

ქვრივი ავდოთი ვასილის ასული მეძმარიაშვილისა, შვილებ იმისი—პეტრე, მელანია, ანნა და ელისაბედი, და მიცვალებულისა აინე ჩხატარაშვილისა და სიძე გრიგოლ გველესიანი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 6 ივლისს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებული

ლუარსაბ მეძმარიაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის, 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე.

## შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

## შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). -გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს 1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

ექიმის ივ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

ქ უ თ ა ი ს ი

## პირველი კერძო სამკურნალო

ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი **პ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნევრების.

| | | |
|---|---|---|
| ნ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | . . . . . | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | . . . . . | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | . . | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | . . . . . | 12—2 |
| ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | . . . . . | 12 1/2 2მ |
| **ს ა ღ ა მ ო თ.** | | |
| ბ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | . . . . | 4 1/2—5 1/2 |
| ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | . . . . | 5 1/2—6 |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა. 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოდოშვილი

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

## აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს. გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**

## მ უ შ ა ო ბ ს

ხრესილის მადნეული წყლის

**ძმ. ჟორჟოლაძეების**

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას** (მალარიას) **კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა.** წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“

## მევენახეთა საყურადღებოთ

ძმა ქორქოლაძეების მაღაზიაში

**ქუთაისი, მიხაილოვის ქუჩ. საკ. სახლი.**

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი **ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.**




მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი **ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.**

**ქ. ქუთაისში**

კბილის ექიმი

## ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

**ტელეფონი 153.**

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

**ექიმი ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

**ექიმი ა. მ. ახათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღებ. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

**ს ტ უ დ ე ნ ტ ი.**

## ვარლამ ფერაძე

ამზადებს მოწაფეებს **ყველა საგანში საშუალო სასწავლებლების** კლასებისათვის; აგრეთვე ამზადებს: აფთიაქის მოწაფეებს, 1 კლ. ჩინზე და სხვა.

ფასები ძლიერ ხელმისაწდომია.

მისამართი: ფოსტის შესახვევი, კ. მკურნალის სკოლა. ნახვა შეიძლება: დილით 9—12 საათ. საღამოთი 4—7 საათ.

**ექიმი მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით** ავადმყოფთ დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

**ექიმმა ი. ჩარექოვმა** შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

სალვთო სჯულის მასწავლებელთა

## საყურადღებოთ.

ქუთაისში, გ. გალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული სალვთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. აბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმვოლო სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებაზე მდიდრულად არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომეტებული მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 აბაზათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ვურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.

## სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, **მე-3 ხარისხის მოსამზადებელ**

## სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული ხოჯოლავასი.




მსურს ვიყიდო სახნავი

## მიწა

200—300 დესეტინა ფოთისა და პალეასტომის ტბის ახლოს. გამყიდველს შეუძლია მაცნობოს ამ მისამართით: ქ. ანაპა. ვალენტინა ივანეს ასულს გოდებავაისას.

## კიდევ „სახალხო ფურცელი“ და თავად-აზნაურობა.

„სახალხო ფურცელი“ კვლავ განაგრძობს კომპანიას თავად-აზნაურობის წინაალმდეგ. ჩვენ გუშინვე აღვნიშნეთ, რომ ამ კომპანიას პრინციპიალური ხასიათი არა აქვს და გამოწვეულია პირადი და დროებითი უკმაყოფილებით. მაგრამ მით არა ნაკლებ საყურადღებოა ის ლოღიკური ქამანდები გაზეთისა, რომლითაც ის ებრძვის თავად-აზნაურობას. „სახალხო ფურცელს“ რომ თავად-აზნაურობაზედ ერთი მტკიცე აზრი არა აქვს, რომელიც მის შეხედულებიდგან უნდა გამომდინარეობდეს, ეს მტკიცდება შემდეგიდანაც. ჯერ კიდევ პირველ წერილში სთქვა „სახალხო ფურცელმა“, რომ ქართველი თავად აზნაურობა იგივეა, რაც რუსეთის აზნაურობაო. რუსეთის აზნაურობის სახით რომ შეერთებულ აზნაურობის კრება ვიგულისხმოთ, რომელიც აძლევს დირექტივებს სრულიად რუსეთის რეაქციას, უნდა ვიანგარიშოთ, რომ ასეთი ყოფილა ქართველი აზნაურობაც, მაგრამ იმავ

წერილში გაზეთი აღნიშნავდა, და ჩვენი მკითხველების ყურადღება უკვე მივაქციეთ ამ გარემოებას, რომ იგივე ქართველი აზნაურობის უმეტესი ნაწილი უკვე მოკლებული ყოფილა წოდებრივობას და უწოდებრივო ელემენტის როლს თამაშობს საქართველოშიო. დღეს ,,სახალხო ფურცელი'' ამასაც არ სჯერდება და აცხადებს, რომ იგივე ქართველი თავადაზნაურობა ერობის ფუნქციებსაც ასრულებს. ასეთ წაჯა-უკუჯექ-დახასიათების შემდეგ, რასაკვირველია, ვერავინ გაიგებს, რა როლს თამაშობს, მაინცადამაინც, თავად-აზნაურობა ჩვენში?

რაშია საქმე? რითია გამოწვეული ასეთი ულოღიკობა გაზეთისა? თუ ქართველი თავად-აზნაურობა რეაქციონურია, რაღათ ლაპარაკობს გაზეთი, რომ მისი უმრავლესობა წოდებრივობის გარეშე სდგას. და თუ იგი წოდებრივობის გარეშე სდგას, რაღათ ეძახის მას რეაქციონურს და რატომ აღარ სურს გაზეთს ძველებურად შეირბინოს დეპუტატთა საკრებულოში? რასაკვირველია, საქმე ამ განსხვავებაში არ არის! როგორც ყოველთვის, ეხლაც ,,სახალხო ფურცელი'' ხიმერით არის გატაცებული. მან ასეთი საკითხი დაუყენა თავის თავს: წოდებრივი უნდა იყოს თავად-აზნაურობა, თუ უწოდებრივო? და პასუხიც მიუგო — თავად-აზნაურობა, როგორც კლასი, უწოდებრივო უნდა იყოსო. წარმოუდგენელია ამაზედ უფრო გულუბრყვილო მსჯელობა! გაზეთს სურს მთელი წოდების ფსიხიკის გარდაქმნა, მაგრამ არა იმ ეკონომიურ და სხვა პრივილეგიების მოსპობით, რომლებიც ერთადერთი ჰქმნიან მის წოდებრივ ფსიხიკას, არა თვით წოდების მოსპობით, არამედ, პირიქით, ამ წოდების შენარჩუნებით, მაგრამ ,,სახალხო ფურცლის'' დროშის ქვეშ. ასეთ სურვილში ბავშური ხალისის მეტს ჩვენ ვერას ვხედავთ. არ არის ქვეყანაზე ისეთი თავად-აზნაურობა, რომელიც სოციალიზმს გაჰყვებოდეს. ამას კარგად გრძნობს ქართველი თავად-აზნაურობა, მაგრამ ამას ვერ გრძნობს ,,სახალხო ფურცელი'' და დეპუტატთა საკრებულოზედაც მიტომ მიდის იერიშით.

ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთ ბრძოლაში ,,სახალხო ფურცელი'' დამარცხდება და ეს დამარცხება ერთგვარ, ისტორიულ აუცილებლობას შეადგენს. ეს დამარცხება მისთვის შემდეგ საკითხს დაბადებს: უარყოს მან სამუდამოთ თავად-აზნაურულ წრეებში ფუსფუსი და უნდა წავიდეს იგი, როგორც ჭეშმარიტი სოციალისტური გაზეთი, ხალხში, თუ უნდა უარყოს სოციალიზმი და დაუბრუნდეს მშობელ პენატებს — იმავ თავად-აზნაურობას, მაგრამ დაუბრუნდეს ისე, როგორც ეს ხელსაყრელი იქნება ამ თავად-აზნაურობისათვის.

---

# მგზავრის შენიშვნები.

(ხ ო ნ ი).

წარსულ კვირას ხონში მომიხდა ყოფნა დიდებული სოფელი ყოფილა! კოპწია სახლები, ფართო, ბაღნარი ეზოები, ნაკადულები ქუჩებზე, ყველა ეს ჰხიბლავს ადამიანს. მაგრამ რამდენადაც გარეგნობა მისი მომხიბვლელია, იმდენად შინაგანი მისი ცხოვრება მოუწყობელი უნდა იყოს.

ქართველური დაუდევრობა აქაცა სჩანს! უპატრონობის გამო ნაკადულებს ქუჩები დაუხრამავს, ზოგან ტბებიც კი სდგას და ადამიანს გავლა არ შეუძლია.

როგორც ქართლში გორი, ისე იმერეთში ხონი განთქმულია თავისის ვაჭრობითა და მომჭირნეობით.

მშვენიერი ფართო და მოკირწყლული ბაზარი, ადგილ ადგილ კოხტა შენობები — მაგალითად ბანკის ახალი შენობა, — მრავალი სასწავლებელი და დუქან-მაღაზიები ჰმოწმობენ ხონის გარეგნულ კულტუროსნობას, თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, შინაგანი მისი მაინც და მაინც სახარბიელო არ უნდა იყოს.

ქალაქის ბაღი, ეს ხეებით დაბურული ფართო მოედანი, ნაოხარს უფრო ჰგავს, კარგი პატრონი წალკოტად გადააქცევდა ამ ბაღს, ახლა კი სავალი გზები ღორღითა და ქვებითაა სავსე.

ამ ჟამად ხონში მოწყობილია კურსები სოფლის მასწავლებელთათვის. ორ სანიმუშო გაკვეთილს დავესწარი და, გულახდილათ უნდა მოგახსენოთ, კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს ამ გაკვეთილებმა. პირველი გაკვეთილი იყო რუსული, აძლევდა ქ-ნი იაკობაშვილი. მეთოდი კარგი ჰქონდა, ცოტა რომ არ შემკრთალიყო. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ გაკვეთილის ახსნის დროს ქ-ნი იაკობაშვილი თამამად იშველიებდა ქართულ ენას. ეტყობა, აქ დაგმობილი ყოფილა „მუნჯური მეთოდი“.

მეორე გაკვეთილი მისცა მასწავლებელმა ბ-ნმა გვაზავამ — ანგარიშში. გაკვეთილი ახსნა სულ ქართულად. მისმა წყნარმა, მშვიდმა და დაკვირვებულმა გაკვეთილმა ისე გამიტაცა, რომ ვერც კი გავიგე, როგორ გათავდა ეს გაკვეთილი. არ მომეწონა მხოლოდ მისი ქართული. ბევრ პროვინციალიზმს ხმარობდა.

კარგს ინებებენ მასწავლებლები, თუ რომ გაკვეთილებზე იხმარებენ წმინდა სალიტერატურო ქართულ ენას. ეს აუცილებელიც არის.

აქვე ვნახე ჩვენი ცნობილი პედაგოგი და მოღვაწე ა. ბ. ჭიჭინაძე, ცოტა მოხუცებული, მაგრამ მაინც ყოჩაღად გამოიყურება.

კურსელები დიდი კმაყოფილნი იყვნენ ქუთათურ მასწავლებლის ბ-ნ გიგინეიშვილისა, რომელიც ლიტერატურიდან უკითხავდათ ლექციებს.

აღშფოთებული იყვნენ ჩვენის გაზეთის 92-ე ნუმერში დაბეჭდილ წერილით ხონის კურსების შესახებ. ვამოწმებ, რომ ეს კორესპონდენცია ცოტა არ იყოს გადაჭარბებულია, მაგრამ რედაქციას არ შეუძლია არ დაუჯეროს თავის კორესპონდენტს და, სამწუხაროა, რომ რედაქციები შეცდომაში შეჰყავთ ხოლმე...

სამწუხაროდ ცოტა ხანს ვიყავ ხონში და ბევრი ვერა ვნახე რა. საერთო შთაბეჭდილება კარგი დასტოვა ჩემზე. ხომ გინახავთ ოდესმე ლამაზი სიზმარი, პოეზიით აღსავსე კუთხე და თვალწარმტაცი მიდამო. ასეთ სიზმრათ მეჩვენება ახლა ხონი.

ერთმა რამ გამაკვირვა, როგორც ქართველი.

ბაზარში მოდიოდენ შავათ გამოწყობილი ქალები, პირახვეულნი, მარტო თვალები და უჩანდათ.

— ეს რას ნიშნავს მეთქი? — ვიკითხე.

— ძველთაგან, თათრობის დროიდან არის დარჩენილი ეგ ჩვეულებაო. — მითხრა ერთმა.

— ეგენი მოვაჭრე ქალები არიან, ზოგს კვერცხი ჩამოაქვს, ზოგს სხვა სანოვაგე. რცხვენიათ ვაჭრობისა და რომ არ იცნოს ვინმემ თავ-პირს აგრე იბურავენ. როცა გაჰყიდიან სანოვაგეს, გამოეწყობიან ევროპიულად და მოდი და იცანი, ვისგან იყიდე ამ ნახევარ საათის წინად კვერცხები, ან წიწილაო: — ღიმილით განმიმარტა მეორემ.

ახირებული ჩვეულება ჰქონიათ, მაგრამ თვალთ მაქცობამ ერთ შემთხვევაში, ვაი, თუ მეორე შემთხვევაშიც გამოიწვიოს ასეთივე თვალთ-მაქცობა!..

ჟურნალ-გაზეთობაში ყველაზე მეტი ვრცელდება თურმე „აზრი“. ჩინებულათა ჰქონიათ მოწყობილი გაზეთის გავრცელების საქმე. ზოგ დუქან-მაღაზიაში ორ სამ კაცს აწერინებენ თურმე. ჩვენი გაზეთი აქ სულ 20 21 ცალი ძლივს გადის. ქუჩაში გაყიდვაზე უარს ამბობენ დამტარებლები. — დასჯილები ყოფილან. მედუქნეებისა, ყასპებისა და სალახების უმრავლესობა დასელობს, ინტელიგენციის უმრავლესობა ეროვნული მიმართულებისაა, ყანაში მომუშავე გლეხი კი გაჯავრებით ურტყამს თოხს შავს მიწას და არც ერთისა არა გაეგება...

ი — ცანი.

---

# ქუთაისი.

**ახალი ამბავი.**

✦ ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი ამჟამათ სრულებით კარგათ არის.

✦ როგორც ჭიათურის შავი ქვის საბჭოს ტეხნიკური განყოფილება იუწყება, მათ ქ. გენუაში გამოფენისთვის გაუგზავნიათ 11 სხვადასხვა ღირსების შავიქვა.

ამ ჟამათ გუბერნიის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი სხვადასხვა სოფელში გლეხებს სიმინდს ურიგებს. ოკრიბაში სიმინდი უკვე დაურიგებიათ.

✦ დღეს გელათს მონასტრის დასათვალიერებლათ 40 ახალგაზდისაგან შემდგარი ექსკურსია მიემგზავრება.

✦ ეპისკოპოზ გაბრიელის სახელობაზე სამკითხველოს შენობის აგებას ქუთაისში უკვე შეუდგენ.

✦ 4 ივლისს, ქუთ. რეალურ სასწავლებელში შესდგა გიმნასტიკის კურსებიზე მოსიარულე სახალხო მასწავლებელთა გამოცდა. გამოცდას დაესწრო ქუთ. გუბერნატორი ბ. პოტულოვი და სხვა ცნობილი პირები. გუშინ კურსისტები გიმნასტიკის მასწავლებლის იასონ გაბაშვილის ხელმძღვანელობით მოწამეთას საექსკურსიოთ გაემგზავრენ.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში აბრეშუმის ჭიის პარკის შემოსვლამ შესამჩნევად იკლო გუშინ სასწორზე 3 ფუთი პარკის მეტი არ აწონილა.

✦ 4 ივლისს ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის 25 მოსწავლე რამდენიმე მასწავლებლის ხელმძღვანელობით ტუაპსეს საექსკურსიოთ გაემგზავრა. ექსკურსანტები იქ დაათვალიერებენ ახალი ტიპის სამეურნეო სასწავლებელს.

✦ გუშინ ქუთაისის ბაზარზე ყვითელი აბრეშუმის პარკი 22 მანეთად ფასობდა თეთრი პირველი ხარისხის 21 მანეთად და 4 აბ. მეორე ხარისხის — 21 მანეთად მესამესი კი — 20 მანეთად 4 აბაზად.

✦ ჭიათურის შავი ქვის საბჭოს ინდოეთიდან ატყობინებენ, რომ აპრილის განმავლობაში, ინგლისს ინდოეთიდან გაუზიდავს 21,3:0 ტონი შავიქვა. ბელგიას 11,743 ტონი, საფრანგეთს 14,950 ტონი და შეერთებულ შტატებს კი 4,500 ტონი შავიქვაო.

✦ სანიტარ ილია ჩაჩანიძეს ამ ზაფხულზე მიენდო ბაზრის ზედამხედველის თანამდებობის შესრულება.

✦ ქუთ. სამეურნეო საზოგადოების განყოფილებაში აუარებელი თხოვნა შედის ადგილობრივი გიმნაზიის კურსდასრულებულებისაგან, რომ საზოგადოებამ იშუამდგომლოს მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის გამგეობაში, რომ ხსენებული კურსდასრულებულნი იქ მიღებულ იქნენ.

✦ დღეს, დილის 11 საათზე, ქალ. გამგეობის დარბაზში დანიშნულია ნორმალური დასვენების სავალდებულო დადგენილების თვალ ყურის მდევნეთლა კომისიის კრება. კრებას რამდენიმე საკითხი აქვს გასარჩევათ.

✦ შაბათს, 5 ივლისს გა[illegible] გაზეთ ,,ჩვენი ერის'' რედაქტორის ლიტერატურული საქმე, [illegible] 1034 მუხლის [illegible] ლომ მას ათი დღის ციხე გადაუწყვიტა და დაადგინა გაზეთი ,,ჩვენი ერი'' სამუდამოთ შეჩერდეს.

✦ ალისმერეთიდან (ქ. მაზ.) გვატყობინებენ, რომ საშინელმა სეტყვამ ალისმერეთლებს დიდი ზარალი მიაყენა. ვენახი და სიმინდი მთლათ განადგურებულიაო. მცხოვრებთა გაჭირვებას ენა ვერ გამოსთქვამს.

✦ დ. ცაგერიდან გვატყობიებენ, რომ აქ რამდენიმე სამიკიტნოა, სადაც ყოველდღე ლოთობას, ჩხუბსა და აყალ-მაყალს ბოლო არ უჩანსო. საჭიროა ადგილობრივი ადმინისტრაციის ყურადღების მიქცევა, ვიდრე ასეთ ქეიფობას ცუდი შედეგი არ მოყოლია.

✦ 9 ივნისს, ბაღდათის ბოქაულის განკარგულებით, მამასახლისმა ასი უღელი ხარი და ურემი თავის პატრონებით იყვანა რიონის სადგურზე სიმინდის მისაწოდებათ. სამი დღის ლოდინს შემდეგ ხელცარიელები უკან დაბრუნებულან. საჭიროა გამოირკვევს, თუ რათ მოხდა ხალხის ასეთი მოტყუება და ტყვილა უბრალოთ სამი დღით გაცდენა.

ბაღდადის მცხოვრებთა გაჭირვებას შიმშილობის მხრით საზღვარი არ აქვს. საჭიროა მეტი ყურადღება დამხმარე კომიტეტისა.

---

# თფილისი

— **ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 3 ივლისს მოხდა. საბჭომ განიხილა საკითხი მომავალ სამელიორაციო ყრილობაში მონაწილეობის შესახებ და დაადგინა, მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ამ ყრილობისთვის შესაფერ მოხსენებათა შედგენაში. ამას გარდა საჭიროდ სცნო, მოუწოდოს მცხოვრებთ, რათა მათაც ფართო მონაწილეობა მიიღონ ყრილობაში. დასასრულ, საბჭომ, ყრილობის მომწვევ ბიუროს წინადადებით, საჭიროთ სცნო, ურჩიოს ბიუროს, რათა ყრილობის საპატიო წევრებათ არჩეულ იქნენ: წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლის მზრუნველი ი. ი. წინამძღვრიშვილი, ქ. შ. წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების თავჯდომარე გენერალი გ. ნ. ყაზბეგი, საზოგადო მოღვაწე და მწერალი ნ. ი. ნიკოლაძე და ბათომის ქალაქის მოურავი თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

— **პოლიტეხნიკუმი.** მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სამოსწავლო კომისიის კრება 3 ივლისს მოხდა. კომისიამ მასწავლებლის მოწვევის საკითხი

---

# მოჯამაგირის ბედი.

მარკოზა და წიქარა ერთსა და იმავე დღეს დაიბადენ.

კვამლიანი, გაჭვარტლული სახლის ერთ ყურეში ბავშმა მორთო ჰყავილი და მეორეში ხბომ დაიბღავლა.

მარკოზას ბებია მოეხმარა, რომ ჩვილ ადამიანს ქვეყნის სინათლე დაენახა, და პირველ მოსასვენებლათ ჩალის ჩიჩაფში ჩააწვინა.

წიქარას ბებია არ ყოლია, მაგრამ მისი პირველი მოვლა-პატრონობა ვაჟის მამას ერგო: მელოგინე მეუღლის სამსახური ვაჟკაცს არ ეხერხებოდა და ხბოს მოსავლელათ უფრო იყო მოცლილი.

ამას გარდა მხვნელ-მთესველ გლეხს მოზვრის მოგება მარკოზას დაბადებაზე ნაკლებ არ გახარებია: კარგათ იცოდა, რომ ვაჟზე ადრე მას წიქარა ამოუდგებოდა მხარში და მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე მეუღლე ხარი შეიქნებოდა.

ამიტომ თოთო ხბოს თავიდანვე დიდი მზრუნველობა დააყოლა:

რბილი, ვენახის ნათხარი წმინდა თივა დაუგო და დაჯედა გოდორი თავზე გადაამხო:

ახალი მორჩენილის სანახავათ მოსული,

თუ ვინმე ნაძრახი თვალის შემოვიდოდა, გოდორზე ან თვითონ დააჯდებოდა, ან ჯირკით დაჯორგავდა, რომ ხბოს წამოდგომისას დაჯედა არ გადაებრუნებია და ავ-თვალს არ დანახვებოდა.

ამ ხშირი სტუმრიანობის დღეებში შიომ საიმედო მოზვერი ასეთი სიფრთხილით გადაარჩინა გაღადვას.

შიოს ქოხში მარტო წიქარას ზმუილი და აკოფას ჰყავილი არ ისმოდა:

ყოველ დილას ამ ხმებს კრუხი კრუხუნსა და წიწილები წიაქსააყოლებდენ და ორიოდე თხა-ცხვარის პეტელ-ბღავილიც ზედ დაერთოდა ხოლმე. მარკოზამ შინაურ ცხოველებს შეუწყო თვისი ხმა, ამათვე შეაჩვია ყურთა სმენა და, თითქო, ჭამის მადაც მათთან აღეძროდა ხოლმე.

უსუსური მარკოზას სიმშილის ტირილი ცხოველების ხმებს აყობოდა, და ყოველ დილაობით ახალ მეძუძურსა დ ლოგინობით დასუსტებულ დიასახლისს ასეთი მუსიკა ატკბობდა.

ღამღამობით, როცა ძროხა — ხარი სოხანისკენ კუდს მოიბრუნებდენ და ფუნის ტყაპა-ტყუპსა და ფსელის შიშხინს აუყენებდენ, მარკოზა შეკრთებოდა, ლოყებზე მოხვედრილი, შხეფების გამო გამწარდებოდა და გვარიანი მაღალი ხმით წამოიტირებდა. ამ დროს შიოც წამოვარდებოდა და ძროხა-ხარს მარჯვენა ბეჭის ჯიკავით თავისს ბაგაზე მიაგდებდა, მაგრამ რაღა დროს! მარკოზა ამასაც მალე შეეჩვია და მზრუნველი მამა ამ შრომისაგანაც მალე გაათავისუფლა.

მეცხრე დღეს მელოგინეც ფეხზე წამოდგა და შიომაც საშინაო საქმეებს ხელი შეუშვა: ახალი მორჩენილი დიასახლისი შიოზე ნაკლებ არ ზრუნავდა მოზვრის მოვლისთვის. სევდას ახლა თითქო ტყუპი შვილი ყავდა საფერებელი.

მზრუნველი დედისა და დედობილის ხელში ერთ სახურავ ქვეშ ადამიანი და ცხოველი ისე შეეზარდენ ერთმანეთს, ისე შეეჩვიენ, თითქო ერთი მუცლის ნაყოფი ყოფილიყვენ.

მარკოზას ბავშობა უფრო დიდხანს გაგრძელდა, წიქარას ხბოობა მხოლოდ ოთხ წელიწადს შეარჩინეს; მეხუთე დაიწყო თუ არა, შიომ გასახედარს უღელი დაადგა, გახედნა და ჩვენი წიქარა მალე ნებიერი ხარი შეიქნა.

წამოიზარდა თუ არა მარკოზა, თავის კბილა წიქარას ხან ურემზე უჯდა, ხან წინ უძღოდა. ცემა და შოლტი აბა ვის იამება, მაგრამ ეს პირუტყვი და მისი წლის მოზიარე ისე შეჩვეოდენ ერთმანეთს, რომ რაღაც საკვირველების მოხებით ერთი მეორისა არაფერი არა სწყენდათ: მარკოზას სახრე და შოლტი წიქარას ცემათ კიარა, მოფერებათ მიაჩნდა, პატარა მეხრის „იშ-ხარის“ შეყვირებას ალერსათ სთვლიდა მძიმე ურემში შებმული ნებიერი.

ერთ დღეს შიომ ისეთი განკარგულება მოახდინა, რომ ორი მეგობარი ერთმანეთს უნდა მოშორებოდა.

— ბიჭო, მარკოზა, ჩვენი ნაბატონარი და მღვდელი შენი გულისათვის ერთმანეთს ეცილებიან და მითხარი, რომელი გირჩევნია. მარკოზამ ასეთი ჩამოარაკება ვერ გაიგო და განცვიფრდა.

— ბიჭო, ორივე ჩამცივებია, შენი მარკოზა მოჯამაგირეთ დამიყენეო და მითხარი, რომელი გირჩევნია?

— მე ორივეს წიქარა მირჩევნია, ჩაილაპარაკა მარკოზამ.

— წიქარა, წიქარაა, შვილო, მაგრამ ახლა შენხელა კაცს ჭკუა ეკითხება: ხომ ხედავ, ერთი კაპეკის შემომტანი ჩვენს ოჯახში არ არის.

სანახევროთა და სამესამედოთ ვმუშაობ... გახსოვს, რომ მეუბნებოდი, როცა სიმიდის ხვავებსა ვყოფდით, სანახევრო ყანაში ამისთანა ტაროები რომ ადგილის პატრონს მიაქვს, რატომაო? როდის დახნა, როდის დათესა, როდის გამარგლა, გაამორედა, მოჰკა და გაარჩიაო! მე, შვილო, ამ ხვნა-გარჩევას ვუნდები და ამიტომ ფულის ღონე არა მრჩება. საცმელ-სახურავი გვინდა და ათასი გადასახადი კიდევ სხვაა. აბა ჯერ რა იცი, შვილო, რამდენი სირცხვილი და ვალი უნდა ვიხადოთ გროშებით.

— კი, მაგრამ მე მაინც წიქარასთან მუშაობა მირჩევნია.

წიქარა, წიქარაა, შვილო, მაგრამ, თუ არჩევანზე იქნება, ისევ მღვდელთანა სჯობია შენთვის: იქ ჭამა-სმა მაინც გექნება: მეზობელია, კარიყურში ცხოვრობს; ახლოს ვიქნებით: ჩვენი ოჯახის მოძლევარიცაა. ყოველ შაბათობით და დიდ უქმეებზე ისეთ-ისეთი ტაბლები ექნება, რომ... ჩვენსას, ხომ იცი, ხორცს და ყველს შობა-ახალწელიწადს და აღდგომა-ახალკვირას თუ ვეღირსებით, იქ კი კვირაში ერთჯერ მაინც ხორციელს გაშინჯავ.

ამას გარდა წელიწადში ოც მანეთს მოგცემს და ჩოხა-ახალუხსაც გპირდება.

ჩოხა-ახალუხი, ხორციელი, ოცი მანეთი — ყველა ეს კაი მისატყუარი იყო, გლეხის ბიჭისთვის, მაგრამ მარკოზა მამას მაინც ვერ გაუპირდა. ძალიან ეძნელებოდა შეჩვეული კედელყურის მოცილება და სხვისას მოჯამაგირობა.

სანამდი დედა არ ჩაერია ამ მოლაპარაკებაში, მარკოზას აღნება ვერ დასტყუა. გასჭრა დედის რჩევამ და ერთ დილას მარკოზა და მამა-მისი ღვდლის აივანში იდგენ და ჯამაგირის ფულის აღების ვადებზე საუბრობდენ.

საქმე გათავდა და მარკოზას დღეიდან „მარკოზას“ კი არა, „მღვდლის მოჯამაგირეს“ ეძახოდენ.

ჯერჯერობით ეს ახალი სახელ-კარი არაფრათ ეპაშნიკებოდა, მაგრამ, როცა გაფხეკილი აზნაურების მოჯამაგირეებთან სმა-ჭამის შესახებ წისქვილში გამოლაპარაკება შეხვდა, ახალი სახელი იმდენათ აღარ ეჩოთირებოდა: პირიქით, ხანდახან ივანიკასა და ლუკიას წამოსძახებდა: „თქვენისთანა მშიერების მოჯამაგირე არ გეგონოთ“, მღვდლის მოჯამაგირე ვარ, მღვდლისაო.

მაგრამ პატარა მოჯამაგირეს მღვდლისას ბევრი რამ არ მოსწონდა, ბევრ რასმე ვერ ურიგდებოდა: ვერც ცხოველთა და ვერც ადამიანთა შორის მეგობარი ვერ იშოვა.

მღვდლის ხარები უსაქმო ბავშებს ისე გაეგიჟებიათ, რომ დასაბმელათაც არავის იკარებდენ.

მარკოზას წიქარა მღვდლის ხარებთან შედარებით, ხარი კი არა, ფილოსოფოსი იყო. ვერც დაუღვლას უხერხებდა, ვერც წყალზე ჩადენას; საჭმლის მიცემაზედაც კი ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რომ ახალი პატარა მეხრე რქაზე არ წამოეგოთ.

მერე ვისი ბრალი იყო ამ თვინიერი ცხოველების ასე გაშმაგება?

ამის მომქმედი მღვდლის ხე, სასულიერო სასწავლებლის პატარა მოწაფე, გრიგოლი გახლდათ.

ამ ცუღლუტს შკოლაში მიბარებამდი ცელქობის მეტი არაფერი გაეკეთებია. ერთადერთი შვილი ისე განებივრებული ჰყოლოდათ ოჯახში, რომ არაფერი საქმე, თუნდ კარის თავის დროზე და ჰკუიანათ მიხურვაც კი არ ჩაუგონებიათ. მხოლოდ სუფრის კურთხევის ლოცვა და „მამაოჩვენო“ ქონდა თუთიყუშივით დაზეპირებული და, როცა მღვდლის სტუმრებთან თავის მემკვიდრეს ამას ათქმევინებდა, მღვდლის მეუღლეს ტუჩებსა და სახეზე სიხარულისა და თავმოწონების ღიმი გადურბენდა.

— ამ პატარა „მსწავლულის“ მეგობ-

პოლიტეხნიკუმის დირექტორის არჩევამდი გადასდვა.

როგორც ვიცით, კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს, ყოველწლივ რვა-რვა სტუდენტი გაგზავნოს საზღვარგარეთ, რათა მომავალ პოლიტეხნიკუმის მასწავლებლებად მოემზადენ. თითოეულ სტუდენტს სტიპენდიათ მიეცემა წელიწადში 500 მან. სტიპენდიის დღემდი თხოულობს 123 კაცი.

— **თფ. გუბერნატორის გადაყვანის გამო.** თფილის. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი ვიატკის გუბერნატორათ დაინიშნა. ბ-ნი ჩერნიავსკი ვიატკას მიემგზავრება დღეს, 6 ივლისს, შუადღის 12 საათზე. ამის გამო 1 ივლისს „ახალ კლუბის“ სათეატრო დარბაზში გუბერნატორს გამოსათხოვარი სადილი გაუმართა თფ. გუბერნიის თავადაზნაურობამ. სადილმა საღამოს 10 საათამდი გასტანა. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა, რომელზეც თვით გუბერნატორმაც უპასუხა. მეორე დღეს, 2 ივლისს, ვერის საქალაქო პარკში გამოსათხოვარი სადილი გაუმართა თფილისის ქალაქის თვითმართველობამ. გამოსათხოვარი პატივისცემა გაუმართეს გუბერნატორს აგრეთვე საგუბერნიო სამართველომ და სხვა უწყებებმა. გუბერნატორს მიართვეს რამდენიმე ძვირფასი სახსოვარი.

## ღია წერილი დიდი-ჯიხაიშის ქსენოფონთან არსებულ კომიტეტს.

ჟურნალ-გაზეთებმა ამ უკანასკნელ ხანებში გაახშირა დიდი-ჯიხაიშიდან წერილების მოთავსება სხვადასხვა კილოთი და ენით, მაგრამ ყველა ერთხმათ, ჰგმობს იმ წინდაუხედავ მოქმედებას, რომელსაც თან მოჰყვა ბ. ლოსაბერიძის ჯიხაიშიდან წასვლა.

არ ვიცი, შესაძლოა ბევრი მომეტებული და გადაჭარბებული იყოს იმ წერილებში; მაგრამ ხსენებული კომიტეტი რომ ვერ იდგა და ვერც სდგას საჭირო სიმაღლეზე, ეს ჩვენის ფიქრით, ჭეშმარიტება უნდა იყოს.

ავიღოთ, მაგალითად, აქიმი ლოსაბერიძე რომელიც, როგორც ვიცი, გვემსახურება აგერ ექვსი წელიწადია. ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ მოგმართათ თხოვნით—რამდენიმე დღით მიგეცათ მისთვის ნება წასულიყო და თვალყური ედევნა თავის მომაკვდავ დისწულისათვის, რომლის ოჯახსაც ბ. ლოსაბერიძე გამოუზრდია და ზნეობრივადაც დაუვალებია. რა თქმა უნდა, ის მხურვალედ გთხოვდათ იქ გაშვებას. თქვენ რა უპასუხეთ?—მიეცით ნება მხოლოდ ერთი დღით წასულიყო და რასაც ერთ დღეს გადააცილებდა იმ დღეების ქირას ჯამაგირიდან ურიცხავდით. ეს ასეც მოხდა. აქიმი, რადგან მან ფრენა არ იცის (ავადმყოფი ჰიათურაში იყო; ჯიხაიშიდან მარტო ჰიათურამდი მი'ვლას კი ერთი დღე სჭირდება: აქით სხვაა) რა თქმა უნდა, ვერ დაბრუნდა იმავე დღეს; მოვიდა მეორე, თუ მესამე დღეს. თქვენ, მას, თანახმად თავის სიტყვისა, გადაცილებული დღეების ფული გადაახდევინეთ; ეს იყო მაისში, 1911 წელს.

იბადება საკითხი: ნუთუ იმ ადამიანს, რომელიც წლობით ერთგულათ, დაუზარებლათ გემსახურება, ამ გვარ შემთხვევაში არ უნდა ქონდეს საშუალება ისარგებლოს რამდენიმე დღის სამსახურისაგან განთავისუფლებით? ყველამ ვიცით, რომ ყოველგვარი დაწესებულება აძლევს თავის მოხელეებს ამგვარ თავისუფლებას. გთხოვდათ არა დასვენებას, არამედ უბედური შემთხვევის გამო მის მდგომარეობაში შესვლას და აუცილებელ საქმისათვის გაშვებას. თქვენ ის ამისათვის დააჯარიმეთ. როგორ ფიქრობთ? ნუთუ მადლობას გეტყვის ამისათვის საზოგადოება? მგონია, არა. ამ ნაირი თქვენი მოქმედება პიროვნების არარად ჩაგდება და მისი ინტერესების აბუჩად აგდებაა, ეს თქვენთვის არავის მოუნდვია; თქვენ არ გაქვთ ამის უფლება და ნურც ჩაიდენთ ამას.

შემდეგ: თქვენ კრებებზე, იმ კრებებზე, რომელზეც არჩევდით იმ გვარ საკითხებს, როგორიც არის წამლებისა და სხვა აფთიაქისათვის საჭირო ნივთების შეძენა, არას დროს არც აქიმს და არც ფერშალს არ ისწრებდით. რატომ? იქნება ხელმძღვანელობდით იმით, რომ დებულება არ გავალებს აქიმისა და ფერშლის თქვენს კრებებზე მოწვევას? მაგრამ ამით გამართლება არ შეიძლება: ნუთუ იმდენათ გულუბრყვილო ბრძანდებით, რომ ვერ აფასებთ იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს აფთიაქის მართველ პირთა სპეციალისტურ რჩევას და ჩვენებას; აბა თვით აქიმიც რათ გინდათ: თვითონ თქვენ დაუსვით თქვენს თავს დიოგნოზი და თქვენვე გამოიწერეთ რეცეპტი. ამ უკანასკნელს, ხომ არ იქთ? რათ შვებით აბა პირველს? ამ გვარ შემთხვევაში სავალდებულოც ის არის, რაც საჭიროა.

შესაძლო, არის დებულება პირდაპირ გიკრძალავს მათ კრებაზე მოწვევას. მაგრამ, როდესაც შეხედეთ, თუ კი შეხედეთ, რა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა აქიმისა და ფერშლის კრებაზე დასწრება, რა ღონისძიება იხმარეთ, რომ დებულების ეს დიადი ნაკლი როგორმე თავიდან მოგეშორებიათ? არავითარი, თუ არ მოვიხსენიებთ იმ დღე ნაკლულ, კომისიას რომელმაც უმოქმედოთ დალია სული. ვისი მოვალეობა იყო მათი მუშაობის მეთაურობა? თქვენი. ხელი შეუწყვეთ? ამაზე თვითონ თქვენ მიეცით თავის თავს პასუხი.

სამაგიეროთ თქვენი რევიზიები საყურადღებოა: კვალ-კვალ უთვალთვალებთ აქიმის მოქმედებას- აბა ვის ღებულობს, რა დროს და რა პირობებში. რევიზია, ყველამ ვიცით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მაგრამ რევიზიაც არის და რევიზიაც: ფანჯრიდან ან კარებიდან ჭვრეტით რევიზიის მოხდენა არ შეიძლება; და ამ გვარი რევიზორი, მეტი რომ არ ვთქვათ, ცუდი რევიზორია: ის არა თუ არკვევს სინამდვილეს, ის ჩირქს ცხებს და აძულებს ადამიანს თვით რევიზიის სახელს; ის ბადებს შურსა და უთანხმოებას, რადგან მოუხეშავათ ჯიჯგნის იმის პიროვნებას, ვის მოქმედებასაც უთვალთვალებს. ამით ვათავებ.

დიდი მოხარული ვიქნები, თუ კომიტეტი დამიმტკიცებს ჩემგან ამ წერილში წამოყენებულ ბრალდებების არა სინამდვილეს, მაგრამ, თუ მან ეს ვერ შესძლო, ჩემის აზრით, ხსენებული კომიტეტის ზნეობრივი მოვალეობა იქნება, ან წინ დაუხედავ მოქმედებით აღიაროს თავისი მოქმედება და მისცეს სიტყვა მის ამრჩევ საზოგადოებას, რომ თვითონვე მოაწესრიგებს შექნილ უთანხმოებას, ან და უარი განაცხადოს თავის თანამდეობაზე.

ალ. ღორთქიფანიძე.

# ბ უ ნ ე ბ ა ს.

ბუნების შვილი ბუნებისვე ვიდექ საჭვრეტად;
მზე ჩამავალი დასავლეთით ჩნდა ნათლის სვეტად,
დედამიწისა ტურფა შვილთა სხივებს სტყორცნიდა,
ვითა გამზრდელი ძილის ჟამსა ტკბილად კოცნიდა.

ს ო ფრთას ბერტყდა ბუჩქ-ხეობას ამოძრავებდა
და ტყიდან შაშვის მწუხრის ჰანგი ჩემთან მოჰქონდა·
მჩქეფარე წყარო კლდიდან ველზე მოკისკასებდა
ნორჩთა ყვავილთა ტკბილის ხმითა ნანას უმღერდა.

მზე გვშორდებოდა, ბუნებისა სანთელს გვიქრობდა,
შავი წყვდიადი ფრთასა შლიდა ძლიერდებოდა,
მაგრამ იმედი ხვალისათვის მანუგეშებდა:
ვგრძნობდი, რომ ის მზე ახალ სხივით აღმოხდებოდა.

მე იმ სურათით იმა წამით მოხიბლულ ვიყავ,
ოცნების ცაში მონავარდე უცხო რამ ვიყავ,
მაგრამ ოჰ, გაქრა იგი წამი იგი ოცნება
და ნაღვლით სავსე ჩემი გული ისევ ღონდება.

და იმ წამიდან, ბუნებავ შენ, მე მეჯავრები,
და გევედრები თვალთ წარმტაცად ნუ მეჩვენები,
განგების ძალა შენ ხელთ არის, ის უკვდავია,
ადამიანი უბედური მომაკვდავია!

ნეტავ რად იშვა ყრმა უმანკო და რათა ზრდიდი,
თუ ვით ყვავილი წამის ყოფით მას გააქრობდი,
ნეტავ რად მიეც კაცსა ძალა შრომა წვალების,
თუ რომ სიცოცხლე მას არ ქონდა სურვილთა ნების.

ნეტავ ქალ-ვაჟთა სიყვარულით რისთვის ატკბობდი
და გაზაფხულის სიტურფითა ძალზე ართობდი,
იმათ სულს და გულს სიცოცხლისა ძაფით ქარგავდი,
მაგრამ იმავ დროს შიგ მალულად სიკვდილსა რგავდი!?

მახსოვს სხვაც ბევრი, მაგრამ კმარა, ისევ ვჩუმდები,
შენს გამოცანას მომაკვდავი განა მივხვდები?
ისევ უვიცი უვიცობის მონათ დავრჩები,
ვიდრე სიკვდილი სულს ამომხდის, სანამ ვიქნები.

პასიკო.

# რუსეთი.

**(ჟურნალ-გაზეთებიდან).**

პირველხანებში პეტერბურგში ხმა გავრცელდა, რომ მკვლელი რასპუტინისა—ილიოდორის თანამოაზრეაო. ეს ხმა დამყარებული იყო ილიოდორის მუქარა წერილზე, რომელშიაც, სხვათა შორის, ავტორი ძლიერ მკაცრათ იხსენიებდა ,,მოხუცს'',

აღსანიშნავია, რომ ამ ხმას ბევრი უნდობლობის თვალით უყურებს.

ილიოდორის ძმამ, ღვთისმეტყველების კანდიდატმა ა. მ. ტრუფანოვმა განაცხადა შემდეგი:

— თუმცა ჩემი ძმის რასპუტინთან ცუდი განწყობილება ყველასათვის ცნობილია, და ამ ცუდ განწყობილებას იგი არავის წინაშე არ მალავდა, მე მაინც უარს ვყოფ იმ აზრს, რომ მისი (რასპუტინის) მოკლა მას განეზრახა.

კითხვაზე, თუ ვინ არის ის ქალი, რომელმაც რასპუტინის მოკვლა განიზრახა, სთქვა:

ამის შესახებ არაფერი არ შემიძლია გარკვევით ვსთქვა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ იგი რასპუტინის მიერ ერთ-ერთი შეურაცხყოფილთაგანი უნდა იყოსო;

**საზღვარგარეთელი პრესა რასპუტინის შესახებ.**

თუმცა რედაქცია „ტემპს“-ის დარწმუნებული არის გრ. რასპუტინის სიკვდილში, მაგრამ იგი მაინც უძღვნის სტატიას „მოხუცს'', რომელიც, მისი აზრით, თუმცა გამოურკვეველს, მაგრამ მაინც დიდს როლს თამაშობდა რუსეთის ცხოვრებაში. სხვათა შორის, გაზეთი სწერს—ისეთი პრაქტიკული ადამიანიც კი, როგორც არის გრაფი ს. ი. ვიტტე, რასპუტინს ,,ზეკაცად'' სთვლიდა. რასპუტინის აზრი თვალსაჩინო როლს თამაშობდა რუსეთის შინაური ცხოვრების ძირითად კითხვებში.

რასპუტინის შესახებ გაზეთ ,,ლოკალ ანზეიგერ''-ი სწერს: ამ საზიზღარი ადამიანის შესახებ მთელი რუსეთი ლაპარაკობდა ამ უკანასკნელ წლებში. მისი გავლენა დიდი იყო.

,,ტაგლიშ რუნდშან''-ი ამბობს:

— რასპუტინი იყო ჭეშმარიტი შვილი ახალი ,,ჭეშმარიტი რუსეთისა'', რომ ცოტათი მაინც გავიგოთ ეს თავისებური ფიგურა, საჭიროა ვიცოდეთ თანამედროვე რუსეთი,—ეს ნარევია უკვე დრომოჭმულ, პეტრეს დროინდელ მოსკოვის სამეფოისა და მრავალ თანამედროვე უკიდურესობათა. მხოლოდ მზგავს ქვეყანაში შეეძლო რასპუტინს გავლენა ჰქონოდა.

**ნ. გ. გარტვიგის დასაფლავება.**

ს. დ. საზონოვმა აცნობა კერძოთ სერბიის ელჩს სპოლაიკოვიჩს პეტერბურგში, რომ გადაწყვეტა საკითხისა ნ. გ. გარტვიგის დასაფლავების შესახებ,—რუსეთში იქნას დასაფლავებული თუ სერბიის ტერიტორიაზე —დამოკიდებულია განსაკუთრებით განსვენებულის ჭირისუფლების ნებაყოფლობაზე და რომ რუსის მთავრობას არაფერი არ აქვს სათქმელი მის წინააღმდეგ, რომ გარტვიგი ბელგრადში იქნეს დასაფლავებული.

**ლოთობასთან ბრძოლა.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლოთობასთან საბრძოლათ საჭიროთ სცნო ერობის უფროსებისათვის წინადადება მიეცა, რომ სასოფლო ყრილობებს განუმარტონ, რომ არყის ფარული გაყიდვისთვის სამართალში იქნებიან მიცემულნი, და ასეთ შემთხვევის აღმოჩენისთვის უმოქმედობისათვის პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი ოლქისა და სასოფლო უფროსები. ბრძოლის საუკეთესო იარაღად სამინისტროს ყველა უწყების შეთანხმებული მუშაობა მიაჩნია.

რობას აპირებდა მარკოზა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოუვიდა თვალში: ყოველი მისი ყოფაქცევა მარკოზას უკვირდა, ასეთი ბავში მას გლეხის ოჯახში არ ენახა.

მღვდელს ერთი შერჩევნებული, მაკვინტალი ჯორი ყავდა. მრევლიდან დაბრუნებული ჩამოხტომას ვერ მოასწრებდა, რომ გრიგოლი შესაჯდომათ გაექანებოდა.

მთელი ოჯახი წივილ-კივილით მიაშურებდა, რომ გრიგოლი ხიფათს გადაერჩინათ: ჯორი იკბინებოდა ტლინკავდა, მაგრამ გრიგოლს აბჯანდიდან ფეხს ვერ გამოაღებიებდენ.

აბა, ასეთ ადამიანთან მარკოზა მეგობრობას რანაირათ მოახერხებდა, მარკოზა, რომელსაც მამის ოჯახში ჭკვიანი და სასარგებლო საქმის მეტი არაფერი გაუკეთებია, არაფერი ენახა:

ინდაურს მომწყესავდა, თუ ღორს გადადენიდა, საქონელს მიუდგებოდა, თუ წყალს მოიტანდა, ურემს გაყობოდა, თუ საჴნავში წიქარას წაუძღვებოდა, ყველგან ჭკუა და დაკვირვება იყო საჭირო და ამ საქმიანობით იყო გონიერ გზაზე დაყენებული გლეხის ბიჭი.

ხანდახან, როცა გრიგოლის ახირებულობა, მისი გასაცვიფრებელი ცუღლუტობა, ცელქობა და ეშმაკობა ერთი მეორეს მოყვებოდა, მარკოზა გულში იტყოდა: ე ჩვენი მღვდლის შვილი უკუღმა დაბადებულს რომ იტყვიან, სწორეთ ის უნდა იყოსო.

ამიტომ მარკოზას მღვდლის ოჯახში მარტოობა ერგო. და როცა საქმიდან თავს აიშვებდა, შინ წასვლის ნებას გამოითხოვდა და გულს აქაურობას გარდააყოლებდა.

გრიგოლის ახირებულობა მარკოზას ძლიერ აწუხებდა და ღმერთმა მალეც დაიხსნა იგი მოჯამაგირობის პირველ წელს.

კანიკულები გათავდა და გრიგოლი ქუთაისს უნდა გამგზავრებულიყო.

ოჯახმა მოისვენა; ყველაფერი დაწყნარდა. მღვდელი სახლკარს ხშირად სცილდებოდა, მაგრამ მარკოზას უნარისა და ჭკვიანი გამრჯელობის გამო ოჯახი ამით ბევრს არას კარგავდა.

მარკოზა იმდენათ ვერ გრძნობდა, თორემ ყველა ატყობდა, რომ მღვდლის ოჯახში ყველაფერი ამ პატარა გლეხის ჭკუაზე მიდიოდა: თვით მღვდელიც უამისოთ არას დაიწყებდა: მუშაობასა და საქონლის მოვლაში უთუოდ პირველათ ერთგულ მოჯამაგირეს დაეკითხებოდა და ასეთ კაცათ ჩაგდება მარკოზასაც მოსწონდა, ერთი ორათ მხნევდებოდა: ყველაფერი წაღმა და წაღმართიანად მიუდიოდა.

მხოლოდ ერთი მოვალეობის ასრულება უძნელდა: ეს იყო ყოველ კვირაში ერთხელ ქუთაისობა.

ასეთი მგზავრობა ყოველთვის ნათლისა. სადმრთოსა, აღაპისა და საკურთხობის მეორე დღეს უნდა მომხდარიყო.

მღვდელი და მღვდლის ცოლი მიაზდილ ხვირჯინს გაავსებდენ კვარკვალა პურებით, ყველიანი ხაჭაპურებით, დედლის მოხარშულ-შემწვარ კურტუმოებით და მარკოზას სახედარივით დაასაპნებდენ.

ამასაც არ აკმარებდენ: ხანდახან ქალბატონი **ჭისქარზე, გადმოყვებოდა** ბაღის გადასაბიჯარზე გადახტებოდა, ათიოდე ვაშლს ან სხალს მოსწყვეტდა და ძალზე გატენილ ხურჯინში მაინც და მაინც რომელიმე ყურიდან უთუოდ უნდა ჩაეტებია.

უარის თქმას მარკოზასაგან არაოდეს არ მოელოდა, მაგრამ ნამუსის გასაწმენდათ მაინც ასეთ სიტყვას მიაყოლებდა: გრიგოლმა თუ კურსი შეასრულა და სწავლა მოითავა, შენზე ადრე არავის არ გაშოადგება: ღმერთი შენც ცოლშვილს მოგცემს, შვილები გასაზდელი გეყოლება და ანბანს მაინც გისწავლებიებსო.

მარკოზა უფრო ქალბატონის პატივისცემით, ვიდრე გრიგოლის იმედით, ყოველთვის ამ მოსამატისათვის ხურჯინში ხალისით ცარიელ ადგილს მოსძებნიდა ხოლმე. მარკოზასათვის აღმართ-დაღმართი თითქო ერთი იყო: გრიგოლს კიდევ მძინარეს მიუსწრებდა ბინაზე და მიაძახებდა: არა გრცხვენია, მე სოფლიდან ამდენი გზა გამოვიარე, ამხელა ტვირთით მოვედი და შენ კიდევ ხვრინავ!

„ტვირთიო“!.. წამოვარდებოდა გრიგოლი და მისი ორივე ხელი ხურჯინში ფათურობდა. ყველაფერს წაღმა უკუღმა ამოყრიდა, თითოჯერ მაინც ყველაფერს უკბენდა, ყველაფერს უკმეჩდა და მოგლეჯდა.

— ამის შემხედვარე მარკოზამ პირველათ აქ შეაგინასკოლას, პირველათ აქ წამოსცდა მისი საყვედური: პირდაუბანელათ ჭამა უსწავლებია გრიგოლისათვის სასწავლებელსო. ახლა მაინც სრულიად არ მოეწონა გრიგოლის საქციელი.

ასე დადიოდა მარკოზა ქუთაისსა და სოფელშუა სამი, თუ ოთხი წელიწადი და არაოდეს გრიგოლის დედ-მამისათვის მაინც და მაინც მოსაწონი ამბავი არ მოუტანია.

გავიდა ხანი და გრიგოლმა, ერთის მაგიერ, სამი სასწავლებელი გაათავა. ყველა ნაცნობი და უცნობი ნიკოლოზ მღვდელს შვილის მსწავლულ კაცობას ულოცავდენ.

ნათესავები მანანასავით მოელოდენ ახალგაზდა „მეცნიერი“ ქართველის წყალობას. დედ-მამის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა; ნივთიერ სარგებლობასთან, ზნეობრივ ბედნიერებასაც უნდა შესწრებოდა: განათლებული შვილის მამას დაუძახებდენ.

მარკოზას ორი, მერცხალივით ცოცხალი ბიჭებიც თითქო ამას უცდიდა, დედაენას გვასწავლისო; და ვინ ჩამოთვლის კიდევ რამდენი მახლობელისა და შორებელის თვალი მისკენ არ იხედებოდა!

ერთ დილას ქუთაისიდან მარკოზამ ნიკოლოზის სახელზე წერილი მოიტანა.

მრევლში წასულ მღვდელს თეკლემ აღარ მოუცადა, ცნობისმოყვარეობამ აიტანა და წერილი გახსნა.

ორი სტრიქონის ამოკითხვას შემდეგ თეკლეს სახემ მოიწყინა; წერილიც გაათავა და კურცხლები გადმოყარა.

-- რა გატირებს, ქალბატონო, გრიგოლის ცუდი ამბავი ხომ არაფერია.

— მეტი რაღა იქნება, ცოლი შევირთე და მოვდივარ, ოთახებს შპალერის ქაღალდები გააკარითო. მამა მისს როგორ უნდა შევუმცხადოთ? ამის გაგონებაზე ელდა ეცემა და, ვინ იცის, რა დაემართება.—ყველაფერი ღვთის საქმეა, ქალბატონო, მორიდებული ამოხვნეშით სთქვა მარკოზამ, ცოლიცაა და ცოლიც: ეგებ თქვენი უსიამოვნო ადამიანი არ გამოდგეს. თუ მსწავლული ქალია, ჩემს ბავშებსაც ღმერთი მოხედავს და თქვენი შეპირება, ხომ გახსოვს, ხურჯინში ვაშლებს რომ ჩამიმატებდი და მიბრძანებდი, ბავშებს ანბანს გისწავლებიებსო, ეგება სიკეთეთ ახდეს. ეგება თქვენმა ენამ კაი რამე იყივლა ჩემთვის!

მეორე დილამდი თეკლეს ნიკოლოზისათვის არაფერი უთქვამს. დილა კი სიმწრის დილა იყო ორივე ცოლქმრისათვის. ერთმანეთს შესტიროდენ და ორსამ მაგალითზე უთითებდენ: როგორც ისინი დაიღუპენ, ჩვენც ისე ჩავცვინდებით წყალშიო.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ჭირს გაძლება უნდა, და ნიკოლოსა და მის მეუღლეს ორი-სამი დღის შემდეგ პურის ფიფინა გაეკეთებიათ და კედლებზე „ჭრელ ქაღალდებს აწეპებდენ.

ახალი რძლის მოყვანის დღეს ნათესავები ეწვიენ ნიკოლოზს, რომელსაც კაი გუნებაზე ხედავდენ: მარტო მარკოზა, მისი დედაკაცი და მათი ორი ბიჭი ტრიალებდენ ციბრუტივით; ამათ მეტი ამ ოჯახში ყველა დარეტიანებული იყვენ: ლხინის თავი და ბოლო ძველი ნამოჯამაგირევის ოჯახი შეიქნა.

ნიკოლოზსა და თეკლეს, რამდი ახალი რძალი და „მსწავლული შვილი“ სოფლათ იყვენ, არც ერთ დღეს თავის დროზე სადილ-ვახშამი არ უჭამიათ.

მარკოზას რაღა ერგო?

ნაცვლად იმდენი შეპირებისა და იმედებისა, ნაერთგულევი მოჯამაგირე ახალმა ქალბატონმა მურაბის სახარში ტაშტის საყიდლათ გააჩქარა ქუთაისს და მის პატარა ბიჭებს, „დედა-ენის“ მაგიერ, პატარა კალათები მისცა ხელში, რომ სამურაბე მარწყვი, მაყვალი და მოცვი ეკრიფათ ეკლიან ჩირგვნალში.

ინსტიტუტის მოწაფე ქალბატონი ყოველ ზაფხულობით ნიკოლოზის ოჯახში მხოლოდ მურაბას ხარშავდა, უნივერსიტეტის მოწაფე კი მხოლოდ კლიენტების აჩენაზე ფიქრობდა.

სამსონ ყიფიანი.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქ უ თ ა ი ს შ ი.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დანები,
მიღებულია და იყიდება
პორფთელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

# ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.

მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანაღდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ფაალიერისა ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

# უცხოეთი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### უბედური შემთხვევა.

კამერეტტის დაბაში (რომი) ადგილობრივ ელექტრონის წისქვილის მფლობელი კორნელლო ჰკუაზე შეირყა და დასჭრა კომუნალური ექიმი, შემდეგ კომმუნის საკრეტარი, მისი მსახური, ბლაღოჩინი და მეწაღე.

გაგიჟებულის ძმა ცდილობდა მის შეკავებას, მაგრამ ისიც დასჭრა. მცხოვრებნი შიშით არიან შეპყრობილი. ქუჩაზე არავინ გამოდის. მკვლელი მიიმალა მთებში. ხმა დადის, რომ მან თავი მოიკლა.

### ბერატის აღება.

დურაცოდან გენერალი დესერი დეპეშით იტყობინება ვალონიდან:—ბერატი გარშემორტყმულია ეპირელებისაგან და აჯანყებულთაგან. ბერატი აჯანყებულებმა უკვე აიღეს.

### მობილიზაცია იტალიაში.

120 ათასი ჯარისკაცის მოულოდნელმა მობილიზაციამ იტალიაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამ ამბავს ზოგი საერთაშორისო მდგომარეობას უკავშირებს, განსაკუთრებით ეპირის ამბებსა და საბერძნეთის მიერ ალბანეთის სამხრეთ საზღვრების შესახებ თანხმობის დარღვევას. მეორე მხრით, მიზეზათ რკინის გზებზე გაფიცვების გამო თავდარიგს ასახელებენ. (რ. ვ.)

### აბაშიძისა და გოგელიას გათავისუფლება.

პონტუაზში დატუსაღებული აბაშიძე და გოგელია დროებით გაათავისუფლეს. (რ. ვ.)

### პუანკარეს გამგზავრება.

პუანკარე ვივიანისა და სხვათა თანხლებით რუსეთისაკენ გაემგზავრა.

### ოპოზიციური პარტიების გამოსვლა.

სოფიაში სახალხო საკრებულოში სესხის შესახებ კამათის დროს, ოპოზიციური პარტიები გამოვიდენ დეკლარაციით, რომელშიც აღნიშნეს, რომ სესხის პირობები დამამცირებელია ბულგარეთისათვის ბულგარეთის მრეწველობის დამღუპველი. ცხარე შეტაკება მოხდა. კრება ორჯერ შესწყდა. სესხი მიიღეს.

ამავე სახალხო საკრებულოში ბლაგოვმა პროტესტი წაიკითხა რუსეთის მისიის მხრივ ბულგარეთის შინაგან საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ, რადგან რუსეთის მისიამ გამოაქვეყნა სესხის შესახებ. სახალხო განათლების მინისტრი პეშოვი უთითებს დემოკრატებისკენ, განაცხადა: „ამ გამოსვლისათვის რუსის მისიის მხრივ ჩვენ მათ უნდა ვუმადლოდეთ, რადგან ესენი იღებენ ინსტრუქციას ამ მისიისაგან“. დემოკრატების ლიდერის მალინოვის ცხარე პროტესტს შემდეგ პეშოვმა მალინოვს უცხოელი უწოდა; მთელი ოპოზიცია ფეხზე წამოხტა. მალინოვმა პეშოვს დაუძახა: „გაიძვერაო“. კრება დაიხურა.

### დასჯა.

ხიბიეში (ტოკიო) თებერვლის განმავლობაში მომხდარ უწესოების გამო 41 კაცს ექვსი თვის ციხე მიუსაჯეს.

### შეტაკება.

30 ივლისს, სოლუმში (ალექსანდრია დიდი შეტაკება მოხდა იტალიელებსა და არაბებს შორის, რომელთაც 200 თოფი გაიტაცეს. იტალიელებს დიდი ზარალი მოუვიდათ და კვლავ გემებზე დასხდნენ. არაბებს 100 კაცი ჰყავთ მოკლული.

### ჰუერტას დათხოვნა.

მექსიკიდან ოფიციალურათ იუწყებიან, რომ ჰუერტამ კონგრესს მიჰმართა თანამდებობიდან განთავისუფლების თხოვნით.

ჰუერტას უარი საპრეზიდენტო რწმუნებულებაზე კონგრესმა მიიღო, 121 ხმით 17 წინააღმდეგ.

### კარბახალის არჩევა.

ჰერტას მოადგილეთ კარბახალი აირჩიეს. კარბახალმა 2 ივლისს დეპუტატებისა და სენატორების თანადასწრებით საპრეზიდენტო ფიცი მიიღო, შემდეგ ეროვნულ სასახლეში გაემგზავრა.

# დაბა-სოფელი.

**სოფ. გორისა** (ზემო იმერეთი) მდებარეობს დაბა საჩხერიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით შვიდი ვერსის მანძილზე. მდებარეობით, ბუნებითა და მიწის სინოყივრით სხვა მახლობელ სოფლებს არ ჩამოუვარდება. მიმოსვლას გზებით დაბრკოლება არ აქვს. შუა სოფელზე გასდევს დიდი შარა-გზა, რომლითაც გადადიოდენ ქართლში და გადადიან დღესაც ბევრი ზემო რაჭველნი და სვანები სამუშევრათ და სავაჭროთ. მცხოვრებთა რიცხვი ორასორმოც კომლამდეა, რომელთა შორისაც უმრავლესობა გლეხები არიან. სთესვენ სიმინდს, პურსა, ქერსა და სხვა წვრილ თესლეულობას. მოსავალი საკმაო იცის, მისდევენ აგრეთვე მევენახობას და ღვინოც ბევრი მოსდის. ამ სოფელს აკრავს პატარა სოფელი „შალაური“—რომელიც შეადგენს გორისის მრევლს. გორისა ქორეთის საზოგადოებას ეკუთნის, შალაური კი არგვეთისას, ამის გამო სასურველათ იცნო გორისლებმა შალაურთან ერთად არგვეთის საზოგადოებას მიწეროდა სიახლოვის მიზეზით, რის შესახებაც შუამდგომლობა იყო აღძრული მთავრობის წინაშე ამ ორი-სამი წლის წინათ. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, საჩხერის მომრიგებელ შუამავალს უკვე შესაფერი განკარგულება მიუღია. იმედია, ბ. შუამავალი დროზე გამოარკვევს ხალხის საჭიროებას ამ საქმეში და მათს თხოვნას დააკმაყოფილებს. ამ სოფელში ბევრი უმაღლესი სწავლა დასრულებული პირია; არიან შიგა და შიგ შესმენილნი პირნიც, მაგრამ, მიუხედავათ ყველა ზემოხსენებულისა, გორისაში არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს, გარდა, პაწია ოთახში მოთავსებული, ერთკლასიანი სამრევლო შკოლისა, რომელიც აგებულია ორმოცამდი პირისაგან. სკოლა გორისისა ქვიან, ხოლო დამფუძნებლების მეტი ვერა სარგებლობენ მით და ამის გამო უმრავლესობა რჩება სკოლის გარეშე. სასურველია, რადგან თავიდანვე კეთილ ნიადაგზე არ არის დაწყებული სკოლის საქმე, ახლა მაინც აღმოუჩნდეს ვინმე მეთაური და ამ სკოლას საზოგადო ხასიათი მისცენ, აავონ შესაფერი შენობა მთელმა მრევლმა, რაიცა საფუძველი იქნება სხვა კულტურული დაწესებულებისაც.

დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი მოძღვარი ღვდ. ს—ძე ენერგიულათ მოეკიდებოდა სკოლის საქმეს და კარგათაც დააყენებდა მას, მაგრამ მოვსტყუვდით. ჩანს, პირადმა სარგებლიანობამ დასძლია საზოგადოსას. ბოლოს სრულებით მიატოვა გორისა და გადაცვალა ჯვარი ეწერზე. სულიერი მამების ადგილების გაცვლა, როცა თავთავის სოფელში გადადიან დასაძრახისი არაა, თითქმის სასურველიც, მაგრამ როცა ასეთი გაცვლა სხვადასხვა სოფელსა და მრევლს ეხება, ცოტა არ იყოს ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს თვით მრევლზე, მით უფრო, როცა ეს ანგარებით ხდება.

ძლიერ კარგს ინებებს ვასილ სვიმონის ძე წერეთელი, რომ გასწევდეს მზრუნველობას სკოლის გაუმჯობესებისათვის. ვიმედოვნებთ, რომ ამ ფრიად წმიდა საქმისათვის მას დახმარებას აღმოუჩენს, როგორც მრევლი და სათანადო მთავრობა, აგრეთვე ღირსეული შვილები ს. გორისისა, როგორიც არიან მაგალითად: აქიმი ივანე გომართელი, მსაჯული ვლადიმერ გომართელი, ქალბატონი ანასტასია წერეთლისა შვილებითურთ, ვასილ გიორგისძე აბდუშელიშვილი და სხვანი.
ი. ნ.

# წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენი პატივცემული „გაზეთის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბ. სამსონ კვიკვიძეს, რომელმაც კეთილ ინება და ჰრებალოს სამკითხველოს, მთელი წლით „თეატრი და ცხოვრება“ გამოუწერა.

იმედია, მის მაგალითს სხვებიც მიბაძვენ და ჩვენს ღარიბ მდგომარეობაში მყოფ ბიბლიოთეკა—სამკითხველოს: წიგნების, თუ ჟურნალ გაზეთების შეწირვით ფრიად დიდ დახმარებას აღმოუჩენენ.

ყოველივე შემოწირულება დიდის მადლობით იქნება მიღებული შემდეგი მისამართით: **Чребало для безплатний библіотеки—читальни.**

ჰრებ. ბიბ. სამკ. გამგეობის მინდობილობით
**იოლა.**

— —

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ. ბაგრატ დოლიძეს, რომელმაც კეთილინება და სოფელ სეფიეთის სამკითხველოს რვა ცალი წიგნი შემოსწირა.

სოფელ სეფიეთის სამკითხველოს გამგე
**მიხეილ თოფურიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**



**ქ. ქუთაისში.** (საკ. ტაძართან).

ა. თაბაგარის მაღაზიაში,

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

**ფასები ძლიერ დაკლებულია.**

ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.

ახალი უვნებელი საშუალება
რძე პირისახისათვის „ბეტტი“
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმკამლებს, გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე, მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. ტფილისში ლიბის აფთიაქი **ს. ს. ნადარეიშვილი.** **განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩევი და პ. შავერზოვი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა.**

## ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოდ

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ: 1) იმ პირთ, რომელთაც სურთ შეტანილ იქნენ საბოლოო საარჩევნო სიაში და მონაწილეობა მიიღონ ქუთაისის ქალაქის საბჭოს **ხმოსანთა არჩევნებში** მომავალი ოთხი წლისთვის (1914—1918 წ. წ.), საქალაქო დებულების მე-8 მუხლის თანახმად, **უსათუოდ უნდა შემოიტანონ მათზე დარჩენილი საქალაქო გადასახადის „ნედოიმკები“** ნახევარი წლის გადასახადზე მეტი.

2) ის პირნი, რომელნიც საბოლოო საარჩევნო სიაში არ იქნებიან შეტანილი, **არჩევნებში მონაწილეობას კარგვენ.**

3) საქალაქო დებულების 24-ე სტ. მე-17 განყოფ., მე-2 მუხ. თანახმად, **იმ თანამემამულეებმა** რომელნიც ქალაქის გამგეობის მიერ პირველ საარჩ. სიაში შეტანილი არიან საერთო სახელით **„მემკვიდრეები** ამა და ამ პირისა“, უნდა წარმოადგინონ თავის დროზე—და არა უგვიანეს მდგომარე 1914 წლის აგვისტოს 1 რიცხვისა—კანონით დაწესებული საბუთი, სადაც **უნდა ჩამოთვლილი იქნეს ცალცალკე ყველა მემკვიდრე,** რომ ეს მემკვიდრეები შეტანილ იქნენ საბოლოო საარჩევნო სიაში. 5—4

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქ უ თ ა ი ს შ ი
ველოსიპედები




ყველაზე იაფად.

შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე
ყ ვ ე ლ ა ზ ე ი ა ფ ა დ
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ
ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქ უ თ ა ი ს შ ი
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.

## რ კ ი ნ ი ს გ ზ ა

| ქუთაისიდან მიდის | | | ქუთაისს მოდის: | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. 55 წ. | ტფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. | | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ 10 წ. | | სახალ. საღამოს | 9 საათ. 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. 7 წ. | | სახალხო ღამით | 5 საათ. 50 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. | ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. | | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. | | სახალხო დღით | 11 საათ. 22 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. 27 წ. | | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. 14 წ. | ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. 3 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 57 წ. | | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. 27 წ. | | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. | | სახალხო ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. | | | |
| შორაპანს: | საავარაკო საღამოს | 5 საათ. 00 წ. | შორაპნიდან: | საავარაკო დილ. | 9 საათ. 18 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. 20 წ. | ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. 39 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. 20 წ. | | სახალხო დილით | 9 საათ. 38 წ. |

სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.